დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სალომე ვორონოვი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

წევრები:

თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

თბილისი
2025

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	**დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
სახე	**უნივერსიტეტი**
საიდენტიფიკაციო კოდი	**211360203**
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	**ლუბლიანას ქ. #13/მიხეილ ჭიაურელის ქუჩა#6, ქ. თბილისი, 0159, საქართველო**
ვებ-გვერდი	www.dtmu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	**ავტორიზებული**
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	13.09.2024წ MES 9 24 0001118782
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	30.08.2030

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[1]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	4
ბაკალავრიატი	-
მაგისტრატურა	-
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	1
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	4
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	1
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[2]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა	1400

[1] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[2] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	986	81	2024 წლის - 307/ 166
ბაკალავრიატი	-	-	-
მაგისტრატურა	-	-	-
ერთსაფეხურიანი	949	79	2024 წლის - 307/ 165
დოქტორანტურა	37	2	2024 წლის - 1
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	427	40	2024 წლის -173/ 93
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	327
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	78
- პროფესორი	28
- ასოცირებული პროფესორი	40
- ასისტენტ პროფესორი	4
- ასისტენტი	6
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	68
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	76
- აფილირებული პროფესორი	27
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	39
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	4
- აფილირებული ასისტენტი	6
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	6
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	6
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	145
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	92

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	8098.37კვ.მ.
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3346.71 კვ.მ.
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4751.66 კვ. მ.

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

2025 წლის 26 სექტემბერს მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში. შეფასების ფარგლებს წარმოადგენდა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულება. შეფასდა ის სტანდარტები რომელთა მიმართებითაც გაიცა რეკომენდაცია - 1, 2, 4, 7 - ე სტანდარტები.
ვიზიტი მოიცავდა როგორც ინტერვიურების პროცესს ასევე მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსების დათვალიერებას.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: **15-18 ივნისი, 2024**

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის

	კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
1.1. რეკომენდებულია, რომ დტსუ-მ მისიის განაცხადი უფრო მეტად დააკონკრეტოს, მკაფიოდ გამოხატოს თუ როგორ გეგმავენ აქტიური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულების აღზრდასა და სტუდენტთა მომზადებას წარმატებული პროფესიული კარიერისთვის. ამასთან დაკავშირებით, მისიის განაცხადში მოცემული პრინციპები მკაფიოდ უნდა იყოს დაკავშირებული სტანდარტებთან, დაკონკრეტდეს თუ როგორ უჭერს მხარს ისეთი პრინციპები, როგორიცაა უწყვეტი გაუმჯობესება ხელს სტუდენტების განვითარებას და მზაობას დასაქმებისთვის.	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია**
2.1 რეკომენდებულია გადაიხედოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება და მკაფიოდ განისაზღვროს ისინი, რათა არ მოხდეს მათი დუბლირება და ერთმანეთთან გადაკვეთა.	**რეკომენდაცია შესრულებულია**
2.1 აუცილებელია უნივერსიტეტის ორგანოგრამის გადახედვა, რათა ნათლად გამოიკვეთოს ერთეულების ურთიერთკავშირი და ანგარიშვალდებულება.	**რეკომენდაცია შესრულებულია**
2.1 რეკომენდებულია აკადემიური საბჭოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს როლის გაძლიერება, მისი ფუნქციებისა და როლის შესახებ ცნობიერების ამაღლება და საბჭოს დაკომპლექტების წესების გადახედვა. საბჭოს ავტომატური წევრობის ნაცვლად არჩევნების ჩატარებამ შესაძლოა გაზარდოს წევრთა როლისადმი	**რეკომენდაცია შესრულებულია**

მიკუთვნებულობის განცდა და ხელი შეუწყოს საბჭოს მუშაობის ეფექტურობას.	
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ფუნქციისა და პროცესების შესახებ ცოდნის საერთო დონე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაოს მასშტაბის შესახებ ინფორმირებულობა არასაკმარისია, რაც იწვევს ხარისხის კულტურის დაქვეითებას. სასარგებლო იქნება უკუკავშირის ციკლის დახურვა, შეფასებების შედეგების გაზიარება და მათზე დაფუძნებული შემდგომი პროცედურები.	**რეკომენდაცია შესრულებულია**
2.2 უზრუნველყავით პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასება შემდეგნაირად: პერსონალი ინფორმირებული უნდა იყოს მკაფიოდ დოკუმენტირებული პროცესის შესახებ, პერსონალის თითოეული წევრი შეფასდეს მომდევნო წლის განმავლობაში და მიეწოდოს ინდივიდუალური უკუკავშირი მათი შედეგებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.	**რეკომენდაცია შესრულებულია**
2.3 რეკომენდებულია დტსუ-მ გააგრძელოს ძალისხმევა, რომ მთელმა აკადემიურმა საზოგადოებამ გაიზიაროს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და აკადემიური თავისუფლების საერთო გაგება, რომელიც შეესაბამება დაწესებულების სტანდარტებს.	**რეკომენდაცია შესრულებულია**
4.1 პერსონალის შეფასების სისტემა უნდა იყოს უფრო სისტემური, მრავალფეროვანი და კრიტერიუმებზე დაფუძნებული, თანამშრომლებისთვის მექანიზმებისა და სიხშირის შესახებ მკაფიო კომუნიკაციით. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის	**რეკომენდაცია შესრულებულია**

ეფექტურობის მრავალმხრივი შეფასება უნდა ჩატარდეს აუდიტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ან სპეციალურად დანიშნული კომისიის მიერ, რასაც უნდა მოჰყვეს ინტენსიური უკუკავშირი შედეგების ანალიზის საფუძველზე.	
4.1. დაუყონებლივ უნდა შეივსოს ადამიანური რესურსების დეპარტამენტში არსებული ვაკანტური პოზიცია.	**რეკომენდაცია შესრულებულია**
4.1. უნდა განახლდეს, ყველა დამხმარე პერსონალის CV, რათა დადასტურდეს, რომ დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი არის მათი სამუშაო ადგილი.	**რეკომენდაცია შესრულებულია**
7.1 დტსუ-ს ახალი კამპუსის მშენებლობის გეგმის შეფერხების გამო, სასწრაფოდ არის საჭირო ახალი სტრატეგია, რომელიც მოიცავს სათადარიგო გეგმებს პოტენციური სამომავლო შეფერხებებისთვის, რათა დააკმაყოფილოთ მიმდინარე პროგრამების მოთხოვნები და სტუდენტთა კონტიგენტის საჭიროებები. კამპუსის პრობლემების მოგვარება არაერთ ინფრასტრუქტურულ სირთულეს გამოასწორებს.	**რეკომენდაცია შესრულებულია**
7.1 რამდენადაც კრიტერიუმები მიუთითებს, რომ „სასწავლო/სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები“, ყველა ლაბორატორიული სივრცე უნდა გადაიხედოს, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ეს ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტისა და პერსონალის კეთილდღეობის დაცვას.	**რეკომენდაცია შესრულებულია**

7.1 შეზღუდული წვდომის მქონე ლაბორატორიული სივრცეები, როგორიცაა ვიწრო დერეფნები ან ის ოთახები რომლებზეც წვდომა სხვა ოთახებიდან ხდება, გულდასმით უნდა შეისწავლოთ, რადგან მათ შეიძლება შემთხვევის ან საგანგებო სიტუაციების დროს. ასეთ სივრცეებზე უსაფრთხო და დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოებისთვის.	**რეკომენდაცია შესრულებულია**
7.1 უნივერსიტეტისკამპუსის შენობაში არსებული ლაბორატორიები საჭიროებს რემონტს.	**რეკომენდაცია შესრულებულია**
7.2 ბიბლიოთეკის სივრცე შეზღუდულია, რაც ხაზს უსვამს ახალი შენობის საჭიროებას. ამ ობიექტების გაფართოება პრიორიტეტული უნდა იყოს სტუდენტებისა და პერსონალის აკადემიური და კვლევითი საჭიროებების მხარდასაჭერად.	**რეკომენდაცია შესრულებულია**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ინსტიტუციამ ყველა გაცემული რეკომენდაცია გაითვალისწინა გარდა ერთისა, რომელიც მეტწილად შესრულებულად ჩაითვალა. რეკომედაციები ეხებოდა ავტორიზაციის პირველ, მე - 2 მე - 4 და მე - 7 სტანდარტებს.

რეკომენდაციები

რჩევები

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაში	მეტწილად შესაბამისობაში	ნაწილობრივ შესაბამისობაში	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება **(არ შეფასებულა)**	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები **(არ შეფასებულა)**	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა **(არ შეფასებულა)**	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები **(არ შეფასებულა)**	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები **(არ შეფასებულა)**	☐	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა **(არ შეფასებულა)**	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები **(არ შეფასებულა)**	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები **(არ შეფასებულა)**	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სალომე ვორონოვი (თავმჯდომარე)

2. თინათინ გაბრიჩიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **გაცემული რეკომენდაცია: რეკომენდებულია, რომ დტსუ-მ მისიის განაცხადი უფრო მეტად დააკონკრეტოს, მკაფიოდ გამოხატოს თუ როგორ გეგმავენ აქტიური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულების აღზრდასა და სტუდენტთა მომზადებას წარმატებული პროფესიული კარიერისთვის. ამასთან დაკავშირებით, მისიის განაცხადში მოცემული პრინციპები მკაფიოდ უნდა იყოს დაკავშირებული სტანდარტებთან, დაკონკრეტდეს თუ როგორ უჭერს მხარს ისეთი პრინციპები, როგორიცაა უწყვეტი გაუმჯობესება ხელს სტუდენტების განვითარებას და მზაობას დასაქმებისთვის.** **რეკომენდცია მეტწილად შესრულებულია.** ინსტიტუცია მიიჩნევს რომ დტსუ-ს მისია მრავლისმომცველია და მისი დაკონკრეტება და ჩაშლა ხდება პრინციპების, ღირებულებების და ხედვის კუთხით და სრულ თანხვედრაშია სტრატეგიულ გეგმასთან. ინსტიტუცია თავის პოზიციას ასაბუთებს შემდეგნაირად: თვითშეფასების დოკუმენტში უნივერსიტეტს აქვს კრიტიკულად გაანალიზებული, თუ რამდენად და როგორ გამოხატავს დტსუ-ის მისია საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების სისტემის ძირითად მიზნებს. ისინი თვლიან,რომ მისიის განაცხადი ნათლად ასახავს უნივერსიტეტის როლს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, რაც სრულ შესაბამისობაშია ქვესტანდარტის არსთან. მიუხედავად დტსუ-ს 33 წლიანი წარმატებული საქმიანობისა, უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ საუკეთესო კადრის აღზრდა ქვეყნისა და საერთაშორისო ბაზრისთვის კვლავ წარმოადგენს გამოწვევას. ამიტომ, მისიის ზოგადი ფორმულირებები სინამდვილეში ეფუძნება გარემოს ანალიზსდა მკაფიოდ უკავშირდება სტრატეგიულ გეგმას, ხედვას, ინსტიტუციურ მიზნებსა და ღირებულებებს. მისიის, ხედვისა და ღირებულებების კომპონენტები ქმნიან სტრატეგიული განვითარების ჩარჩოს და უზრუნველყოფენ მიზნების მიღწევის შეფასების მექანიზმებს. ინსტიტუციამ განახორციელა ფართომასშტაბიანი სამუშაო მისი, ხედვისა და ღირებულებების გაცნობიერებისა და გაზიარების უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტი აგრძელებს ამ მიმართულებით განვითარებას, რათა „უწყვეტი გაუმჯობესების“ პრინციპი უფრო მეტად

ინტეგრირდეს სტუდენტთა სწავლების, კვლევისა და კლინიკური პრაქტიკის სისტემაში.უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ მისიის ტექსტის ფორმალური ცვლილება უნდა განპირობდეს არა მოთხოვნით, არამედ გარემოსა და დროის ცვლილებებით. დტსუ-ის აზრით ამ ეტაპზე არსებული მისია სრულად ასახავს ინსტიტუციის მიზნებსა და ხედვას; ამიტომ ცვლილება იქნებოდა ფორმალური და არა შინაარსობრივი გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის მისია • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაცია 1: რეკომენდებულია გადაიხედოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება და მკაფიოდ განისაზღვროს ისინი, რათა არ მოხდეს მათი დუბლირება და ერთმანეთთან გადაკვეთა.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა სხვადასხვა პროცესისა ან/და პროცედურის დეტალური რეგულაცია, სადაც მკაფიოდ არის გამიჯნული სხვადასხვა ჩართული მხარის პასუხისმგებლობები.

ამასთან, გადაიხედა და დაკონკრეტდა სამუშაო აღწერილობები და დებულებები, სადაც უფრო მკაფიოდ გაიმიჯნა ფუნქციები.

ვიზიტის ფარგლებში წარმართულ ინტერვიუების ფარგლებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელ გუნდთან დეტალურად იქნა განხილული როგორც რეკომენდაციის შინაარსი და გამომწვევი მიზეზები, ასევე რეკომენდაციების შესრულების პროცესი. დადასტურდა რეკომენდაციის შესრულების პროცესის მონაწილეობითობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

გაცემული რეკომენდაცია 2. აუცილებელია უნივერსიტეტის ორგანოგრამის გადახედვა, რათა ნათლად გამოიკვეთოს ერთეულების ურთიერთკავშირი და ანგარიშვალდებულება.

რეკომენდაცია შესრულებულია, უნივერსიტეტის სტრუქტურის ორგანოგრამა მკაფიოდ ასახავს უნივერსიტეტის ერთეულების ურთიერთკავშირს, ანგარიშვალდებულებას, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაქვემდებარებას.

უნივერსიტეტის პოზიცია, მათ შორის, ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მიერ სამედიცინო განათლების ცენტრის ამჟამინდელი ხელმძღვანელის პოზიციის დაკავების შესახებ, ექსპერტთათვის მისაღები და მკაფიოა.

გაცემული რეკომენდაცია 3. რეკომენდებულია აკადემიური საბჭოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს როლის გაძლიერება, მისი ფუნქციებისა და როლის შესახებ ცნობიერების ამაღლება და საბჭოს დაკომპლექტების წესების გადახედვა. საბჭოს ავტომატური წევრობის ნაცვლად არჩევნების ჩატარებამ შესაძლოა გაზარდოს წევრთა როლისადმი მიკუთვნებლობის განცდა და ხელი შეუწყოს საბჭოს მუშაობის ეფექტურობას.

რეკომენდაცია შესრულებულია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიურების შედეგად, არ გამოვლენილა ავტორიზაციის დასკვნაში დასმული საკითხი ცნობიერების ნაკლებობის შესახებ. კერძოდ, უნივერსიტეტის

აკადემიურ საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად (როგორც აკადემიური საბჭოს წევრების, ასევე სხვა აკადემიური პერსონალის ინტერვიურებისას) დადასტურდა აკადემიური საბჭოს ეფექტური ფუნქციონირება და ასევე, მისი საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობა.

ვინაიდან ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა განპირობებული იყო აღნიშნული გამოწვევით, რომელიც დღეს არ დგას უნივერსიტეტის წინაშე, რეკომენდაცია ფასდება როგორც შესრულებული.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს საფუძველზე, მათთვის მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ მათი აკადემიური თავისუფლების დაცვა და აკადემიური საბჭოს ფორმირების მათთვის მისაღები და მოქმედი წესის არსებობა, მეორეს მხრივ, კი აკადემიური საბჭოს ფორმირების წესის გადახედვა საჭიროებს კომუნიკაციას, კონსულტაციებსა და საუნივერსიტეტო საზოგადოების ფართო ჩართულობას.

პროცესი მიმდინარეობს, კერძოდ შესწავლილია სხვადასხვა ალტერნატიული გზა, ასევე, მიმდინარეობს აკადემიური საბჭოს წევრებისა და აკადემიური პერსონალის მოსაზრებების კვლევა.

თუმცა, როგორც აღინიშნა, ვინაიდან აკადემიური საბჭოს საქმიანობასა და მის შესახებ ცნობიერებასთან დაკავშირებით პრობლემატური საკითხი არ გამოკვეთილა, რეკომენდაცია ფასდება, როგორც შესრულებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები;
- დტსუ სტრუქტურა -უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული დოკუმენტები/წესები სახელმძღვანელოები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაცია 1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ფუნქციისა და პროცესების შესახებ ცოდნის საერთო დონე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაოს მასშტაბის შესახებ ინფორმირებულობა არასაკმარისია, რაც იწვევს ხარისხის კულტურის დაქვეითებას. სასარგებლო იქნება უკუკავშირის ციკლის დახურვა, შეფასებების შედეგების გაზიარება და მათზე დაფუძნებული შემდგომი პროცედურები.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაციის შინაარსიდან გამომდინარე, მისი შესრულების დონის შეფასებისთვის ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა ინტერვიუს შედეგებით. კერძოდ, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების პროცესში შეფასდა საუნივერსიტეტო საზოგადოების ცოდნისა და ინფორმირებულობის დონე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებსა და შედეგებზე, ხარისხის კულტურის საერთო დონე. შეფასების შედეგდ, პერსონალის ინფორმირებულობა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებზე დადებითად შეფასდა და ამ რეკომენდაციის შინაარსთან მიმართებით პრობლემატური საკითხი არ გამოკვეთილა.

ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ტრენინგ კურსი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიმართულებით პერსონალის ცნობიერების ამაღლებისთვის, საანგარიშო პერიოდში კი გამართა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრა და ინდივიდუალური კონსულტაცია. ტრენინგ-კურსი საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 2-ჯერადად, ჯამში მონაწილეობა მიიღო 49 პირმა.

გაცემული რეკომენდაცია 2. უზრუნველყავით პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასება შემდეგნაირად: პერსონალი ინფორმირებული უნდა იყოს მკაფიოდ დოკუმენტირებული პროცესის შესახებ, პერსონალის თითოეული წევრი შეფასდეს მომდევნო წლის განმავლობაში და მიეწოდოს ინდივიდუალური უკუკავშირი მათი შედეგებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაციის შესრულების დონის შეფასებისთვის, ექსპერტთა ჯგუფმა, კვლავ, იხელმძღვანელა როგორც ინტერვიუების შედეგებით, ასევე დაწესებულების მხრიდან საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებით - საინფორმაციო შეხვედრებით, განახლებული დოკუმენტებით. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებამ დაადასტურა მათ მიერ როგორც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ ცოდნა, ასევე, კონკრეტულად პერსონალის შეფასებისთვის გამოყენებული მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისთვის დანართების ფორმირებისთვის ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან, ასევე, თითოეული რეგულაცია/დოკუმენტი, რომელიც განახლდა, განხილული იყო შესაბამის საბჭოებზე, აკადემიურ პერსონალთან, ასევე, ჩატარდა ადამიანური რესურსების განახლებული დოკუმენტის შესაბამისად პერსონალის შეფასება. ადამიანური რესურსების შეფასების სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ჯამში 6 შეხვედრა - ხარისხის ჯგუფი, რექტორის საბჭო, სადოქტორო კომიტეტი, აკადემიური საბჭო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ანგარიში რეკომენდაციწების შესრულების შესახებ; • ინტერვიუს შედეგები; • იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოხსენება.
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაცია: რეკომენდებულია დტსუ-მ გააგრძელოს ძალისხმევა, რომ მთელმა აკადემიურმა საზოგადოებამ გაიზიაროს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და აკადემიური თავისუფლების საერთო გაგება, რომელიც შეესაბამება დაწესებულების სტანდარტებს.

რეკომენდაცია შესრულებულია.

დტსუ მონაწილეობს კვლევის ეთიკის პროექტში, რომლის ფარლგებში ბოლო ერთი წლის მანძილზე ჩატარდა შემდეგი განმავითარებელი აქტივობები:

- პროექტის ფარგლებში მომზადებულმა სამმა თანამშრომელმა (კვლევის ეთიკის/კეთილსინდისიერების ოფიცრების ტრენერებად მომზადნენ; ქუთისი. 2023 ToT) დტსუ-ში ჩაატარეს „კვლევის ეთიკის/კეთლსინდისიერების ოფიცრების“ ტრენერთა follow-up შიდა ტრენინგი - რომელსაც დაესწრო 7წარმომადგენელი;
- შიდა ტრენინგი მიეწოდა დტსუ აკადემიურ პერსონალს (16 მონაწილე) შემდეგი ძირითადი საკითხების ირგვლივ: სწავლების მეთოდოლოგიებისა და პროფესიონალური პრაქტიკის მოდერნიზება, „კეთილსინდისიერი კვლევის ევროპის კოდექსის“ ოთხი პრინციპის განხილვა, ინფორმაცია ეთიკის პროექტის და მასში განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- კვლევის კეთილსინდისიერების მოდული და MOOC-ის იმპლემენტაცია დტსუ-ში - კვლევის კეთილსინდისიერების MOOC ატვირთულია დტსუ მუდლის პლატფორმაზე, ჩაშენებულია „კვლევის სამეცნიერო საფუძვლები 1“-ის კურსში და გახდა აკადემიური პერსონალის განვითარების შიდა ტრენინგების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი;
- მკვლევარების და კვლევის მხარდამჭერი ოფიცრების აქტივობები - კვლევის მხარდამჭერი ოფიცრების მოვალეობები და ვალდებულებები განიმარტა „დისციპლინარული ოფიცრის“ ჭრილში, მათ შორის აკადემიური და კვლევის კეთილსინდისიერების და ეთიკის იდეა (scope) განხილულ იქნა კეთილსინდისიერების (INTEGRITY) პროექტის ფარგლებში და გადაიხედა/განახლდა ეთიკის პროექტის ფრგლებში;
- რევიზირდა კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კონცეფცია:დტსუ უშვებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობას საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, მასწავლებლის შეხედულებების და დამოკიდებულებების საფუძველზე (რაც ასახულია სილაბუსში);
- ბიოსამედიცინო ეთიკის კომიტეტის დებულება ასევე რევიზიტდა, საერთაშორისო და საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით;
- აკადემიური მხარდაჭერისა და კვლევის კეთილსინდისიერების სამსახურებისთვის (სამეცნიერო- კვლევითი სამსახური, სამედიცინო განათლების ცენტრი, ეთიკის კომიტეტი, სადოქტორო კომიტეტი)
  რევიზირდა ყველა შესაბამისი დებულება და რეგულაციები;
- კვლევის ეთიკის და კეთილსინდისიერების შესახებ დოქტორანტებში ცნობიერების ამაღლებისთვის ჩატარდა კვლევა დოქტორანტებთან და შედეგები გაზიარდა ORPHEUS 2024 კონფერენციაზე „PhD ვორქშოფი: ეთიკისა და სამენციერო კეთილსინდისიერების გამოწვევები კვლევასა და პროფესიონალურ განვითარებაში: PhD სტუდენტების პერსპექტივიდან“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ბიოსამედიცინო ეთიკის კომიტეტის დებულება და საქმიანობის წესი (დანართი N 11); • პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის დოკუმენტი (დანართი N 16); • ORPHEUS-ის კონფერენციის დღის წესრიგი - https://orpheus-med.org/wp-content/uploads/2024/05/PROGRAM-%E2%80%93-Orpheus-2024.pdf • სამეცნიერო კარიერა დტსუ-ში (დანართი N12); • სწავლას, კვლევასა და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის დაცვის კონცეფცია (დანართი N9); • აკადემიური გადაცდომის გამოვლენისა და სანქციის შეფარდების პროცედურები (დანართი N10).
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.

- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაცია 1. პერსონალის შეფასების სისტემა უნდა იყოს უფრო სისტემური, მრავალფეროვანი და კრიტერიუმებზე დაფუძნებული, თანამშრომლებისთვის მექანიზმებისა და სიხშირის შესახებ მკაფიო კომუნიკაციით. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობის მრავალმხრივი შეფასება უნდა ჩატარდეს აუდიტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ან სპეციალურად დანიშნული კომისიის მიერ, რასაც უნდა მოჰყვეს ინტენსიური უკუკავშირი შედეგების ანალიზის საფუძველზე.

რეკომენდაცია შესრულებულია.

ინსტიტუციამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და იმუშავა რომ დტსუ-ში არსებული შეფასების სისტემა უფრო სისტემური, მრავალფეროვანი და კრიტერიუმებზე დაფუძნებული გამხდარიყო. პედაგოგიური დატვირთვის საქმიანობის ფორმები და შეფასება გადაიხედა და გამრავალფეროვნდა, რაც ხარისხის სამსახურთან და პერსონალთან ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა. უნივერსიტეტში შემუშავდა დოკუმენტი „სამეცნიერო კარიერა დტსუ"-ში, რომელშიც ევროპული ჩარჩო- ანალოგის საფუძველზე არსებობს სახელმძღვანელო დოკუმენტი მეცნიერის კომპეტენციების (7 კომპეტენცია) და კომპეტენციათა ფლობის დონეთა მიხედვით (4 დონე).
ადმინისტრაციულ საქმიანობაში შტატის შეფასებისთვის ტდსუ-მ შეიმუშავა კანდიდატის შეფასების ფორმა. ასევე შემუშავდა და დაამტკიცეს აკადემიური შტატისთვის „ემირიტუსის" პოზიციის შემოღება, წოდების მინიჭების სახელმძღვანელო და პროცედურები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა შეხვედრები ყველა სტრუქტურულ ერთეულთან შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებაში. დაიგეგმა შეფასებისა და უკუკავშირის პროცესის უზრუნველყოფა ყოველწლიურად.

გაცემული რეკომენდაცია 2. დაუყონებლივ უნდა შეივსოს ადამიანური რესურსების დეპარტამენტში არსებული ვაკანტური პოზიცია.

რეკომენდაცია შესრულებულია.

დტსუ-ში რეკომენდაცია გაითვალისწინეს და 2024 30.09 წლის N47 დანიშვნის ბრძანებით ოქტომბრიდან ადამიანური რესურსების დეპარტამენტში არსებული ვაკანტური პოზიცია შეივსო.

გაცემული რეკომენდაცია 3. უნდა განახლდეს, ყველა დამხმარე პერსონალის CV, რათა დადასტურდეს, რომ დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი არის მათი სამუშაო ადგილი.

რეკომენდაცია შესრულებულია. ინსტიტუციამ გადახედა ხარვეზებს და განაახლა დამხმარე პერსონალის CV.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამეცნიერო კარიერა დტსუ-ში (დანართი 12) • პროფესორ ემერიტუსის წოდების მინიჭების სახელმძღვანელო და პროცედურები (დანართი 13) • ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების მიცემის წესი და პირობები (დანართი N 14) • კანდიდატის შეფასების ფორმა (დანართი N 17) • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დანართი N 15) • დანიშვნის ბრძანება - N 47 • განახლებული CV-ბი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული

მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.

- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაცია 1. დტსუ-ს ახალი კამპუსის მშენებლობის გეგმის შეფერხების გამო, სასწრაფოდ არის საჭირო ახალი სტრატეგია, რომელიც მოიცავს სათადარიგო გეგმებს პოტენციური სამომავლო შეფერხებებისთვის, რათა დააკმაყოფილოთ მიმდინარე პროგრამების მოთხოვნები და სტუდენტთა კონტიგენტის საჭიროებები. კამპუსის პრობლემების მოგვარება არაერთ ინფრასტრუქტურულ სირთულეს გამოასწორებს.

რეკომენდაცია შესრულებულია.

დტსუ-ს ახალი კამპუსის მშენებლობის გეგმის შეფერხების გამო ინსიტუციის ახალი სტრატეგია გულისხმობს დტსუ-ის დამფუძნებლის გადაწყვეტილებას წლის ბოლომდე გაიყიდოს სასტუმრო - გამაჯანსაღებელი კომპლექსი კვარიათში. აღნიშნული კომპლექსი დტსუ-ს დაფუძნებულია, მისი სახსრებით აშენებული და მათი საკუთრებაა. კოვიდ პანდემიის მიზეზით და შედეგად, ვერ მოხერხდა მისი სრულფასოვანი ფუნქციონალური გამართვა; თუმცა, ობიექტი რჩება უნივერსიტეტის ბალანსზე და ამჟამად მისი გაყიდვა (უზრუნველყოფს) თანამედროვე ინფრასტრუქტურის მქონე საუნივერსიტეტო შენობის აშენებას. ინსტიტუცია მიიჩნევს,რომ ამის „გარანტორია“, ასევე ობიექტის ღირებულება შეფასებული საერთაშორისო ექსპერტების მიერ და გაყიდვა შექმნის მყარ ფინანსურ საფუძველს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის და ახალი კამპუსის სწრაფი და ეფექტური მშენებლობისთვის.

გაცემული რეკომენდაცია 2. რამდენადაც კრიტერიუმები მიუთითებს, რომ „სასწავლო/სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები“, ყველა ლაბორატორიული სივრცე უნდა გადაიხედოს, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ეს ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტისა და პერსონალის კეთილდღეობის დაცვას.

რეკომენდაცია შესრულებულია.

ვიზიტის ფარგლებში ნანახი იქნა, რომ ინსტიტუციამ განხორციელა საერთო შესასვლელის სტანდარტის შესაბამისად გაფართოება. სასწავლო-კვლევით ლაბორატორიებში უსაფრთხოების წესები ამჟამად დაცულია. რაც შეეხება სპეციალური საჭიროების მქონე პირებს, მათთვის ტდსუ-ს გათვალისწინებული აქვს ახალ კამპუსში სათანადოდ ორგანიზებული სივრცე; ახალი გეგმის მიხედვით თითოეულ ლაბორატორიას აქვს ცალკე ფართი დამოუკიდებელი შესასვლელით,

შტატისთვის (3-4 ლაბორანტზე გათვლით) ოთახი, ლაბორატორიის ფართი და ასევე სტუდენტთა კლასისთვის (12-15 სტუდენტზე) სამუშაო ოთახი. რაც შეეხება უსაფრთხოებას კი ის დაცულია; მაგალითად: კარების შესასვლელები 85 სმ-ია, რაც აკმაყოფილებს ეტლით მოსარგებლეთა გადაადგილებისთვის საჭირო მოთხოვნებს. **გაცემული რეკომენდაცია 3. შეზღუდული წვდომის მქონე ლაბორატორიული სივრცეები, როგორიცაა ვიწრო დერეფნები ან ის ოთახები რომლებზეც წვდომა სხვა ოთახებიდან ხდება, გულდასმით უნდა შეისწავლოთ, რადგან მათ შეიძლება საფრთხე წარმოქმნან გაუთვალისწინებელი შემთხვევის ან საგანგებო სიტუაციების დროს. ასეთ სივრცეებზე უსაფრთხო და დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოებისთვის.** **რეკომენდაცია შესრულებულია.** აღნიშნული რეკომენდაცია წინა რეკომენდაციის მსგავსია და მისი შესრულებაც შესაბამისად არსებული შენობის ფარგლებში განხორციელდა, ხოლო ახალი სასწავლო კამპუსის გეგმაში უკვე გათვალისწინებულია. **გაცემული რეკომენდაცია 4. უნივერსიტეტის კამპუსის შენობაში არსებული ლაბორატორიები საჭიროებს რემონტს.** **რეკომენდაცია შესრულებულია.** მონიტორინგის ვიზიტისას დათვალიერდა ლაბორატორიები, აღსანიშნავია რომ შესრულდა გარკვეული სარემონტო სამუშაოები. გარემონტდა ლაბორატორიებში შესასვლელი დერეფანი, მიწვდომადი გახდა (გაფართოვდა შესასვლელი) სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის და გარემონტდა თავად ოთახებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • დამფუძნებლის გადაწყვეტილება საკუთრების რეალიზაციის შესახებ (დანართი 18) • არასაუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის საკუთრების დამადასტურებელი დოუკმენტაცია (დანართი 19) • სარემონტო სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი N21) • ფინანსური მდგრადობის შესახებ კონფეცფია (დანართი N8) • სარემონტო სამუშაოების შესახებ დოკუმენტაცია • ვიზიტის ფარგლებში დათვალიერება
რეკომენდაციები:
რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაცია: ბიბლიოთეკის სივრცე შეზღუდულია, რაც ხაზს უსვამს ახალი შენობის საჭიროებას. ამ ობიექტების გაფართოება პრიორიტეტული უნდა იყოს სტუდენტებისა და პერსონალის აკადემიური და კვლევითი საჭიროებების მხარდასაჭერად.

ინსტიტუცია აღნიშნავს, რომ არქიტექტურისთვის უკვე ახალი კამპუსის და მისი ფუნქციური ნაწილების სქემაში გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაზრდილი ფართი ბიბლიოთეკის ყველა სივრცისთვის, რომელიც უზრუნველყოფს უფრო მეტ და უკეთ მოწყობილ სამუშაო სივრცეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის, ასევე მკითხველისთვის მნიშვნელოვნად (40-50 სტუდენტზე ერთდროული მოხმარების) გაზრდილ სამკითხველო დარბაზსა და ჯგუფური მუშაობისთვის სივრცეებს.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი ციფრულ ფორმატშია; ასევე სამეცნიერო ჟურნალების ძალზე მოცულობითი „რეპოზიტორიუმი“ ჰინართან წვდომა უზრუნველყოფილი, და ეს წვდომა აბსოლუტურად უზრუნვწლყოფილია სტუდენტისთვის ნებისმიერ მოწყობილობაზე (ტელეფონის ჩათვლით) ნებისმიერ ლოკაციაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხელშეკრულებები
- ელექტრონული რესურსების შესყიდვის დამდასტურებელი დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	დიპლომირებული მედიკოსის (ქართულენოვანი)	ქართულ	დიპლომირებული მედიკოსი/ მედიცინა/ 0912.1.1	360	აკრედიტირებული	13.07.2021; #706154
2	დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი)	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი/ მედიცინა/ 0912.1.1	360	აკრედიტირებული	13.07.2021; #706153
3	დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს)	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი/ მედიცინა/ 0912.1.1	375	აკრედიტირებული	04.07.2019; #154
4	ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში	ქართული	მედიცინის დოქტორი/მედიცინა/0912.1.1	30	აკრედიტირებული	21.10.2020; #1019392